

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) გამსესხებელი - შპს „ონლაინკრედიტი“ ს/ს(ნ 400094483, მის: თბილისი, მუხიანი, II მ/რ, კორ. 10, ბ. 2, ელ. ფოსტის მის: info@onlinecredit.ge);

ბ) მსესხებელი - ფიზიკური პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და რომელზეც გამსესხებელი გასცემს სესხს ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად; გ) სესხის ხელშეკრულება - გამსესხებელსა და მსესხებელს შორის ელექტრონული ან

სტანდარტული ფორმით დადებული ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ, ასევე გამსესხებლის ვებგვერდზე განთავსებულ სახელშეკრულებო პირობებს და რომლის დადებაზე ნების გამოვლენაც მსესხებლის მიერ, მისი შინაარსის გაცნობის შემდგომ, ხდება ელექტრონულად (რაც ავტომატურად უთანაბრდება მსესხებლის ხელმოწერას და მსესხებელი იფარგლება მის მიერ ამფორმით გამოვლენილი ნებით).

დ) ხელშეკრულების დადების შეთავაზება (მოწვევა ოფერტზე) - გამსესხებლის მიერ სესხის გაცემის პირობების საკუთარ ვებგვერდზე განთავსება, რომელიც არ წარმოშობს გამსესხებლის ვალდებულებას ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით;

ე) სესხის განაცხადი - გამსესხებლის მიერ საკუთარ ვებგვერდზე განთავსებული ფორმა,

რომელიც, სხვა მონაცემებთან ერთად, შეიცავს მითითებას სესხის ოდენობისა და ვადის შესახებ და რომლის ელექტრონულად შევსება და დადასტურება წარმოადგენს მსესხებლის მიერ გამსესხებლისათვის გაკეთებულ ოფერტს წინამდებარე ხელშეკრულების დადებაზე.

ვ) ოფერტი - მსესხებლის მიერ სესხის განაცხადის შევსება, რითაც დასტურდება მსესხებლის მიერ ამ ხელშეკრულების გაცნობის და გამსესხებლის მიერ შეთავაზებულ პირობებზე დათანხმების ფაქტი;

ზ) აქცეპტი - გამსესხებლის მიერ სესხის გაცემის შესახებ საპასუხო ნების გამოვლენა, რაც

დასტურდება მსესხებლის მიერ მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე სესხის არსებითი პირობების შესახებ ინფორმაციის გაგზავნითა და მსესხებლის საბანკო ანგარიშზე სესხის თანხის გადარიცხვით. სესხის ხელშეკრულება დადებულად ითვლება მსესხებლის საბანკო ანგარიშზე სესხის თანხის გადარიცხვის მომენტიდან;

თ) სესხის თანხა - თანხა, რომელიც გაიცემა მსესხებელზე და ექვემდებარება ამ უკანასკნელის

მიერ გამსესხებლისათვის დაბრუნებას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით;

ი) საკომისიო/პროცენტი - სარგებელი, რომელიც ერიცხება სესხის თანხას და რომლის

გამსესხებლისთვის გადახდის ვალდებულებაც (სასყიდლის ფორმით) მსესხებელს წარმოემომა სესხის თანხის დაბრუნებასთან ერთად;

კ) პირგასამტეხლო - მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება, რომელიც

გამოიყენება მსესხებლის მიერ ვალდებულების ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად და გადაიხდება მსესხებლის მიერ სესხის დაბრუნების ვადის გადაცილების ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში. მსესხებელი აცნობიერებს, რომ პირგასამტეხლოს დარიცხვის შემთხვევაში, ამ უკანასკნელის გადახდის მიზნებისათვის, შესაძლებელია საჭირო გახდეს დარიცხული თანხის კორექტირება დამრგვალებით. დამრგვალება განხორციელდება სტანდარტული მათემატიკური პრინციპით, 0,5 მეათედამდე, რაზეც მსესხებელი წინასწარ აცხადებს თანხმობას;

ლ) გადავადების საკომისიო/პროცენტი - მომსახურების საფასური, რომელიც გადაიხდება სესხის დაფარვის (ვალდებულების შესრულების თარიღის) ვადის გადაწვეისთვის მსესხებლის მიერ მოთხოვნილი ვადით;

მ) გამსესხებლის საბანკო ანგარიში - გამსესხებლის ანგარიშსწორების ანგარიში, რომელიც

მითითებულია მის ვებგვერდზე;

ნ) მსესხებლის საბანკო ანგარიში - მსესხებლის ანგარიშსწორების ანგარიში, რომელიც

მითითებულ იქნება მსესხებლის მიერ, ან რომლიდანაც ხორციელდება საცდელი გადახდა და რომელზეც გადარიცხება სესხის თანხა;

ო) იდენტიფიკაცია - მსესხებლის მიერ სასესხო განაცხადის შევსების შემდგომ გამსესხებლის

ანგარიშზე სიმბოლური თანხის (1 თეთრი) გადარიცხვა ან გამსესხებლის მიერ ინფორმაციის სხვა საშუალებით გადამოწმება, მათ შორის ტელეფონით, რომლის მიზანია მსესხებლისა და მისი ანგარიშსწორების ანგარიშის იდენტიფიკაცია (გადამოწმება);

პ) მიმდინარე დავალიანება - მსესხებლის მიერ გამსესხებლის წინაშე შესასრულებელი ფულადი

ვალდებულება კონკრეტულ დროის შუალედში, რომელიც მოიცავს დაბრუნებას დაქვემდებარებულ სესხის თანხას, დარიცხულ საკომისიოს/პროცენტსა და პირგასამტეხლოს, ასანაზღაურებელი ხარჯების ჩათვლით;

ჟ) სესხის დაბრუნების თარიღი - სესხის დაბრუნების ვადის ბოლო დღე, როდესაც მსესხებელს

წარმოემომა აღებული სესხის უკან დაბრუნების ვალდებულება;

რ) სესხის ვადა - გამსესხებლის ვებგვერდზე მითითებული სტანდარტული ვადებიდან ერთ-

ერთი, რომელიც მსესხებლის მიერ სასესხო განაცხადის შევსებისას მითითებულია ვებგვერდზე და გამსესხებლის საპასუხო ნების გამოვლენით დადასტურებული;

ს) გადავადება - გამსესხებლის თანხმობით სესხის ვადის გაგრძელება მსესხებლის მიერ საკომისიოს/პროცენტის გადახდის შემდგომ;

ტ) გამსესხებლის ვებგვერდი - www.onlinecredit.ge;

უ) პერსონალური კოდი - მსესხებლისათვის გამსესხებლის მიერ მინიჭებული უნიკალური კოდი, რომელიც გამოიყენება მსესხებლის იდენტიფიცირებისათვის.

ფ) სესხის ნომერი - გამსესხებლის მიერ გაცემულ თითოეულ სესხზე მინიჭებული უნიკალური კოდი, რომელიც გამოიყენება კონკრეტული სესხის იდენტიფიცირებისათვის.

2. ზოგადი დებულებები

2.1. სასესხო განაცხადის შევსებით მსესხებელი ადასტურებს, რომ:

ა) არის ფიზიკური პირი 20 და 65 წლამდე;

ბ) გააჩნია სრული (შეუზღუდავი) ქმედუნარიანობა, არ იმყოფება ნარკოტიკული, ალკოჰოლური, ფსიქოტროპული ან ტოქსიკური პრეპარატების ზემოქმედების ქვეშ, არ იმყოფება შეცდომის, თაღლითობის, ზეწოლის, მუქარის ან ნებისმიერი სხვა მართლსაწინააღმდეგო ზემოქმედების ქვეშ და არ წარმოადგენს ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომაში შეყვანისა თუ სხვა აკრძალული მოქმედების ობიექტს გამსესხებლის ან ნებისმიერი მესამე პირის მხრიდან, სრულად აცნობიერებს საკუთარი ნების გამოვლენის შინაარსს და მისგან გამომდინარე სამართლებრივ შედეგებს;

გ) აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოს ტერიტორიაზე და ითვლებას საქართველოს რეზიდენტად საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად;

დ) არ აქვს შეუსრულებელი ან ვადაგადაცილებული სასესხო ვალდებულებები გამსესხებლის ან/და ნებისმიერი მესამე პირის მიმართ;

ე) არ არის დარეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში;

ვ) არ გააჩნია უარყოფითი საკრედიტო ისტორია და არ არსებობს ისეთი ვალდებულებები, რომლებიც უარყოფითად აისახება მის გადახდისუნარიანობაზე;

ზ) გაეცნო ამ ხელშეკრულების პირობებს და ეს პირობები არის მისთვის მისაღები;

თ) მის მიერ წარმოდგენილი ყველა მონაცემი არის ზუსტი.

2.2. სასესხო განაცხადის შევსების შემდეგ, სესხის გაცემამდე, გამსესხებელი უფლებამოსილია მოიძიოს/გადაამოწმოს მსესხებლის მიერ მითითებული ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი, მათ შორის პერსონალური ინფორმაცია (მათ შორის, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში), რაზეც მსესხებელი წინასწარ აცხადებს თანხმობას. მსესხებელი აცნობიერებს, რომ მცდარი ინფორმაციის მიწოდება შესაძლოა გახდეს სესხის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი.

2.3. მსესხებელს უნდა გააჩნდეს აქტიური ანგარიში საქართველოში მოქმედ რომელიმე კომერციულ ბანკში.

3. სესხის განაცხადი და სესხის გაცემა

3.1. სესხის მისაღებად მსესხებელი გამსესხებლის ვებგვერდის გამოყენებით ავსებს სესხის განაცხადს, რომელშიც მითითებულია სასურველი სესხის ოდენობა და ვადა. სესხის განაცხადის შევსებით და ველი „ვადასტურებ, რომ გავაცანი www.onlinecredit.ge-ს ხელშეკრულებას, დანართი N1-ს და ვეთანხმები პირობებს“ მონიშვნით მსესხებელი ადასტურებს, რომ გაეცნო წინამდებარე ხელშეკრულებისა და გამსესხებლის ვებგვერდზე განთავსებულ სახელშეკრულებო პირობებს, ეს პირობები მისთვის მისაღებია და იგი ავლენს სესხის ხელშეკრულების დადების ნებას ამ პირობებით (აკეთებს ოფერტს).

3.2. სასესხო განაცხადის შევსების შემდგომ ხდება იდენტიფიკაცია (მსესხებლისა და მისი ანგარიშსწორების ანგარიშის იდენტიფიცირების მიზნით მსესხებელი ახდენს გამსესხებლის ანგარიშზე სიმბოლური თანხის მინიმუმ (0,01 ლარის) გადარიცხვას ან ხდება გამსესხებლის მიერ ინფორმაციის სხვა საშუალებით გადამოწმება). იდენტიფიკაციისათვის გადახდილი თანხა მსესხებელს უკან არ უბრუნდება.

3.3. იდენტიფიკაციის დასრულების შემდგომ გამსესხებელი იღებს გადაწყვეტილებას სესხის გაცემის თაობაზე. გამსესხებელი უფლებამოსილია, უარი თქვას სესხის გაცემაზე და აცნობოს ამის შესახებ მსესხებელს. გამსესხებელი არ არის ვალდებული დაასაბუთოს სესხის გაცემაზე უარის მიზეზ(ებ)ი.

3.4. გამსესხებელი, სესხის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, მსესხებელს, მის მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე უზავანის ხელშეკრულებას და სესხის არსებითი პირობების შესახებ დანართი N1-ს, რომელიც წარმოადგენს აღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ახდენს სესხის თანხის მსესხებლის ანგარიშზე გადარიცხვას. გადარიცხვის მომენტიდან სესხი გაცემულად ითვლება და სესხზე საკომისიოს/პროცენტის დარიცხვა იწყება გაცემის დღიდან;

3.5. მსესხებელს უფლება აქვს გამოიყენოს სესხი ნებისმიერი კანონიერი მიზნისათვის;

3.6. გამსესხებელი უფლებას იტოვებს, ცალმხრივად მოახდინოს საკომისიოს/პროცენტის შემცირება (დაგეგმილი აქციების ან სხვაგვარი სარეკლამო აქტივობების პერიოდში) და აღნიშნული ცვლილება არ საჭიროებს მხარეთა შორის დამატებით შეთანხმებას.

4. სესხის აღების და გადახდის პირობები.

4.1. სესხი გაიცემა მინიმუმ 5 დღის და მაქსიმუმ 30 დღის ვადით, რომლის ოდენობა შეადგენს 50 ლარიდან - 800 ლარამდე.

4.1.1. სესხზე ყოველ დღიურად მომხმარებელს ერიცხება საკომისიო/პროცენტი ძირითადი სესხის 0.7%-ის ოდენობით.

4.2. სესხი გაიცემა მინიმუმ 30 (ოცდაათი) დღით და მაქსიმუმ 12 (თორმეტი) თვემდე ვადით, რომლის ოდენობა შეადგენს 850 - ლარიდან 2000 - ლარამდე.

4.2.1. იმ შემთხვევაში თუ მსესხებელი 4.2. პუნქტით გათვალისწინებულ სესხს აიღებს 30 დღით, ყოველდღიურად დაერიცხება საკომისიო/პროცენტი ძირითადი სესხის 0.7%-ის ოდენობით.

4.2.2. იმ შემთხვევაში თუ მსესხებელი 4.2. პუნქტით გათვალისწინებულ სესხს აიღებს 2(ორი) თვიდან 12 (თორმეტი) თვემდე ვადით, მომხმარებელს ყოველ თვიურად დაერიცხება საკომისიო/პროცენტი მიმდინარე ძირითადი თანხის 8%-ის ოდენობით.

4.2.3. სესხის ვადამდე ადრე (წინსწრებით) სრულად დაფარვისას თუ ოპერაცია მოხდა სესხის გაცემიდან გადახდის გრაფიკით განსაზღვრული პირველი გადახდის თარიღის დადგომამდე, მსესხებელი ვალდებულია დაფაროს პირველი და მეორე გადახდით განსაზღვრული (თვის) პროცენტი (საკომისიო) სრულად და სესხის დარჩენილი ძირითადი პროცენტის (საკომისიოს) გარეშე.

4.2.4. სესხის ვადამდე ადრე (წინსწრებით) სრულად დაფარვისას თუ ოპერაცია მოხდა გრაფიკით გათვალისწინებული პირველი გადასახდელის თარიღის დადგომის შემდეგ - გრაფიკით განსაზღვრული მეორე გადასახდელის დადგომის თარიღამდე, მსესხებელი ვალდებულია დაფაროს მიმდინარე დავალიანება სრულად მასზედ დარიცხული პროცენტი (საკომისიო), პირგასამტეხლო და მიდინარე ძირითადი პროცენტის (საკომისიოს) გარეშე.

4.2.5. სესხის ვადამდე ადრე (წინსწრებით) სრულად დაფარვისას თუ ოპერაცია მოხდა სესხის გრაფიკით განსაზღვრული მეორე გადასახდელი სთარიღის დადგომის შემდეგ, მსესხებელი ვალდებულია დაფაროს მომდევნო გადახდის თარიღის მდგომარეობით არსებული დავალიანება სრულად მასზედ დარიცხული პროცენტი (საკომისიო), პირგასამტეხლო და მიდინარე ძირითადი პროცენტის (საკომისიოს) გარეშე.

4.3. გამსესხებელს უფლება აქვს მისი შეხედულებისამებრ ერთპიროვნულად მსესხებელს მიანიჭოს 4.3.1. 4.3.2. 4.3.3. 4.3.4. პუნქტით გათვალისწინებული სტატუსები თუ მომხმარებელი სარგებლობს 4.1 და 4.2.1 პუნქტებით გათვალისწინებული სესხის პირობებით.

4.3.1. განსაკუთრებულ შემთხვევაში კლიენტს შეიძლება მიენიჭოს ე.წ. „სილვერ“ სტატუსი, რა დროსაც მის მიერ აღებულ სესხზე დარიცხული საკომისიო/პროცენტი განისაზღვრება დღიური 0.6 %-ს ოდენობით;

4.3.2. განსაკუთრებულ შემთხვევაში კლიენტს შეიძლება მიენიჭოს ე.წ. „გოლდ“ სტატუსი, რა დროსაც მის მიერ აღებულ სესხზე დარიცხული საკომისიო/პროცენტი განისაზღვრება დღიური 0.5 %-ს ოდენობით

4.3.3. განსაკუთრებულ შემთხვევაში კლიენტს შეიძლება მიენიჭოს ე.წ. „პლატინიუმ“ სტატუსი, რა დროსაც მის მიერ აღებულ სესხზე დარიცხული საკომისიო/პროცენტი განისაზღვრება დღიური 0.44 %-ს ოდენობით

4.3.4. განსაკუთრებულ შემთხვევაში კლიენტს შეიძლება მიენიჭოს ე.წ. „VIP“ სტატუსი, რა დროსაც მის მიერ აღებულ სესხზე დარიცხული საკომისიო/პროცენტი განისაზღვრება დღიური 0.4%-ს ოდენობით.

4.4 იმ შემთხვევაში თუ მსესხებელი დაფარავს სესხს 5 (ხუთი) დღეზე ადრე, ის ვალდებულია გადაიხადოს მინიმუმ 5(ხუთი) დღის საკომისიო/პროცენტი სესხის გაცემის მომენტიდან.

4.5. 4.1 პუნქტით გათვალისწინებული სესხის თანხა და საკომისიო/პროცენტი გადაიხდება სესხის ვადის ბოლო დღეს.

4.6. მსესხებელს შეუძლია, სესხის დაფარვა სესხის გაცემიდან 1 (ერთი) საათის შემდეგ.

4.7.სესხის დაფარვის დღის უქმე ან დასვენების დღეზე დამთხვევის შემთხვევაში გადახდის დღედ ითვლება უქმე და დასვენების დღე.

4.8 .გადახდები ხორციელდება გამსესხებლის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით ან სწრაფი გადახდის ტერმინალების საშუალებით, შესაბამისი დანიშნულების მითითებით. მსესხებლის ვალდებულებები შესრულებულად ითვლება გამსესხებლის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის მომენტიდან.

4.9.გადახდები ხდება სესხის თანხის ვალუტაში. სხვა ვალუტაში თანხის ჩარიცხვის შემთხვევაში მსესხებლის ვალდებულება გამსესხებლის წინაშე შესრულებულად არ ჩაითვლება, ხოლო განსხვავებულ ვალუტაში ჩარიცხული თანხა უკან დაუბრუნდება მსესხებელს, გადარიცხვასთან/უკან დაბრუნებასთან დაკავშირებული საბანკო ხარჯების გამოკლებით. ამასთან, დაუშვებელია გამსესხებლისთვის აღნიშნულ თანხაზე გამსესხებლის მფლობელობაში ყოფნის გამო რაიმე სახის სარგებლის მოთხოვნა.

4.10 .მსესხებლის იდენტიფიცირების მიზნით, მსესხებელი ვალდებულია, უზრუნველყოს თანხის შეტანის დანიშნულებაში მსესხებლის სახელის, გვარის და მსესხებლისთვის მინიჭებული პერსონალური კოდის მითითება.

4.11.თუ გამსესხებელი იღებს გადახდას, რომლის ამოცნობა შეუძლებელია, ამოცნობის მომენტამდე მსესხებლის ვალდებულება გამსესხებლის წინაშე შესრულებულად არ ჩაითვლება და გამსესხებელი უფლებამოსილია მსესხებელს დააკისროს პირგასამტეხლო ამ ხელშეკრულების შესაბამისად.

4.12.თუ გადახდილი თანხები საკმარისი არ არის საკომისიოს/პროცენტის და სესხის(ძირი) თანხის დასაფარად, პირგასამტეხლოს დაკისრება გრძელდება სესხის (დარჩენილ) ძირ თანხაზე

4.18.სესხი დაფარულად ჩაითვლება და სასესხო ურთიერთობა წყდება (ვალდებულების შესრულებით)გამსესხებლის საბანკო ანგარიშზე სესხის თანხის, მასზე დარიცხული საკომისიოს/პროცენტის,პირგასამტეხლოსა და ასანაზღაურებელი ხარჯების შესაბამისი თანხის (არსებობის შემთხვევაში)სრულად ჩარიცხვის შემთხვევაში.

4.19.მსესხებელი უფლებამოსილია მოახდინოს სესხის ვადამდე სრულად დაფარვა. სესხის ვადამდე სრულად დაფარვის შემთხვევაში მსესხებელი იხდის სესხის თანხას და საკომისიოს/პროცენტს იმ ოდენობით, რა ოდენობითაც საკომისიო/პროცენტი გადასახდელი იქნება სესხის დაბრუნების დღისათვის. მსესხებელი არ არის ვალდებული აცნობოს გამსესხებელს წერილობით ან სხვა ფორმით სესხის ვადაზე ადრე დაფარვის შესახებ. ასეთი გადახდა ადასტურებს მსესხებლის სურვილს, განახორციელოს მთლიანი გადახდა ვადაზე ადრე.

4.20. სესხის დამტკიცების შემდეგ, სესხის ხელშეკრულებასთან ერთად მსესხებელს ეგზავნება სესხის დაფარვის გრაფიკი და დეტალური პირობები (დანართი N1), რომელიც წარმოადგენს აღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4.21 . ხელშეკრულების შესრულების ადგილი: ხელშეკრულების შესრულების ადგილად განისაზღვრება ქ. თბილისი .

5. სესხის ვადის გადავადება

5.1.მსესხებელს აქვს სესხის ვადის გადავადების შეთავაზების უფლება, ხოლო გამსესხებელს კი გააჩნია შესაბამისი უფლება მიიღოს ან უარყოს მსესხებლის აღნიშნული შეთავაზება. სესხის ვადის გადავადება შესაძლებელია მინიმუმ 1 (დღე) და მაქსიმუმ 720 (შვიდას ოცი) დღისვადით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სესხზე არ ფიქსირდება ჯამურად 29 (ოცდაცხრა) დღეზე მეტი ვადაგადაცილება.

5.2. . მსესხებელს აქვს სესხის ვადის გადავადების შეთავაზების უფლება, გარდა 30 დღეზე მეტი ხნით დადებულ ხელშეკრულებისა, რომლის თანხის ოდენობაც შეადგენს 850 ლარიდან - 2000 ლარამდე.

5.3.სესხის ვადის გადავადებისათვის მსესხებელი სწრაფი ჩარიცხვის აპარატის ან გამსესხებლის საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვით იხდის სესხის ვადის გადავადების საკომისიოს/პროცენტის, რომელიც მითითებულია გამსესხებლის ვებ.გვერდზე. მსესხებელი ვალდებულია მიუთითოს გადახდის დანიშნულება - „ვადის გაგრძელება“. საკომისიოს/პროცენტის გადახდის შემდგომ გამსესხებელი უზაუნის მსესხებელს შეტყობინებას ვადის გადავადების ან მასზე უარის თქმის შესახებ. (სესხის გადავადების შემთხვევაში გადახდილი საკომისიო არ ჩაითვლება დასაბრუნებელი სესხის გადახდად) ამ უკანასკნელ შემთხვევებისსესხის გადავადების საკომისიო/პროცენტი მსესხებელს არ დაუბრუნდება და არ ჩაითვლება დასაბრუნებელი სესხის ნაწილობრივ გადახდად (ვალის შემცირებად).

5.4 გადავადების საკომისიო/პროცენტი შეადგენს სესხის ძირითად თანხის 0,8%-ს დღეში. სესხის გადავადების საკომისიო/პროცენტი ერიცხება სესხის მხოლოდ ძირითად თანხას. გადავადების საკომისიო/პროცენტის დარიცხვა ხდება ყოველდღიურად, დღეების მიხედვით. ხოლო სესხის გადავადების საკომისიო/პროცენტი მსესხებლის მიერ გადაიხდება წინასწარ;

5.5.იმ შემთხვევაში თუ მსესხებელმა სესხი დაფარა გადავადების თარიღის დასრულებამდე, ასეთ შემთხვევაში მას ზედმეტად გადახდილი გადავადების თანხა უკან აღარ დაუბრუნდება.

5.6. გამსესხებელი არ არის ვალდებული დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება სესხის ვადის გადავადებაზე უარის თქმის შესახებ.

6. პასუხისმგებლობა

6.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევა იწვევს წინამდებარე ხელშეკრულებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

6.2. მსესხებელი ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებაში მოცემული ყველა პირობა და სრულიად აცნობიერებს გადახდების შეყოვნებასთან დაკავშირებულ შედეგებს.

6.3. მსესხებელი პასუხს აგებს გამსესხებლის წინაშე ხელშეკრულებაში მოცემული ინფორმაციის სიზუსტეზე და სისრულეზე, ვებ.გვერდზე დარეგისტრირებისას მითითებული ინფორმაციის სიზუსტეზე, ყველა იმ ინფორმაციის სიზუსტეზე, რომელიც მან გამსესხებელს მიაწოდა ხელშეკრულების დადებისას, დადებამდე ან დადების შემდგომ.

6.4. მხარეთა შეთანხმებით იმ შემთხვევაში თუ გამსესხებლის ანგარიშზე არ ჩაირიცხება გადასახდელი თანხა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, გამსესხებელი უფლებამოსილია დააკისროს, ხოლო ასეთის შემთხვევაში მსესხებელი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო სესხის ძირითად თანხის 1.5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს დარიცხვის ეს წესი ეხება სესხის იმ ფორმას, რომელიც გაიცემა არაუმეტეს 30 დღისა.

6.5 მხარეთა შეთანხმებით იმ შემთხვევაში თუ გამსესხებლის ანგარიშზე არ ჩაირიცხება გადასახდელი თანხა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, გამსესხებელი უფლებამოსილია დააკისროს, ხოლო ასეთის შემთხვევაში მსესხებელი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო სესხის ძირითად თანხის 0.8% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს დარიცხვის ეს წესი ეხება სესხის იმ ფორმას, რომელიც გაიცემა 30 დღეზე მეტი ვადით.

6.6. მსესხებელს არ დაეკისრება 6.4 მუხლით გათვალისწინებული პირგასამტეხლო თუ ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა არ აღემატება ჯამში 5 კალენდალურ დღეს.

6.7. იმ შემთხვევაში თუ მსესხებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადამოსული გადასახდელი თანხის გადახდას 5 დღის განმავლობაში, მეექვსე კალენდარული დღის დადგომისთანავე დაეკისრება პირგასამტეხლო სრული მოცულობით, მის მიერ ვადაგადაცილების დაფიქსირების პირველივე დღიდან (5 დღის ჩათვლით). პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მსესხებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის დაფარვის ვალდებულებებისაგან..

7. თანხმობა პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე

7.1. ამ მუხლში მოცემული ტერმინების განმარტება:

ა) მონაცემთა დამუშავება - ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ, შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება;

ბ) ინფორმაცია - პერსონალური მონაცემების, ხელმოწერის შემცველი ნებისმიერი ინფორმაცია;

გ) პირდაპირი მარკეტინგი - ფოსტის, სატელეფონო ზარების, ელექტრონული ფოსტის ან სხვა სატელეკომუნიკაციო საშუალებით საქონლის, მომსახურების, დასაქმების ან დროებითი სამუშაოს შეთავაზება; დ) მონაცემთა დაბლოკვა - მონაცემთა დამუშავების დროებით შეჩერება;

7.2. საქართველოს კანონის პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ, მოთხოვნების გათვალისწინებით მსესხებელი აცხადებს თანხმობას და უფლებამოსილებას ანიჭებს გამსესხებელს, დაამუშავოს მსესხებლის შესახებ ინფორმაცია, ასევე გადასცეს მესამე პირს და მიიღოს მისგან მსესხებელზე ინფორმაცია.

მესამე პირს ინფორმაცია შეიძლება გადაეცეს:

ა) კანონის მოთხოვნის საფუძველზე;

ბ) საკრედიტო ისტორიის სააგენტოს, თაღლითობასთან მებრძოლ სააგენტოს ან სხვა მსგავსი ორგანიზაციას, რომელიც ცენტრალიზებულად იღებს ინფორმაციას ერთმანეთთან დასაკავშირებლად;

გ) პრობლემური სესხების ამოღების კომპანიებს;

დ) საპროცესინგო ცენტრს ან სხვა მესამე პირს, რომელიც გადახდის პროცესინგს უზრუნველყოფს.

7.3. ხელშეკრულებაზე დათანხმებით მსესხებელი ეთანხმება, რომ მისთვის სათანადო მომსახურების გაწევის მიზნით, ასევე გამსესხებლის საოპერაციო საქმიანობის, სესხის დაბრუნების/ამოღების ან სხვა დაკავშირებული მიზნებისათვის შესაძლოა მსესხებლის პირადი მონაცემები გამჟღავნებული იქნას გამსესხებლის შიდა პერსონალთან შეზღუდვის გარეშე.

7.4. ამ ხელშეკრულებით მსესხებელი გამსესხებელს ანიჭებს უპირობო უფლებას მსესხებლის შესახებ ინფორმაცია მსესხებელთან დამატებითი შეთანხმების გარეშე გადასცეს სს „კრედიტინფო საქართველოს“ (რეგისტრირებული მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ 2005 წ. 14 თებერვალს, რეგისტრაციის #06/5-51), რაც იწვევს მსესხებლის აღრიცხვას სს „კრედიტინფო საქართველოს“ მონაცემთა ბაზაში, რომლის მიზანია ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე მონაცემთა შეგროვება, დამუშავება დაგავრცელება, რომელიც დაკავშირებულია გადაუხდელი სესხებისა და სხვა შეუსრულებელი/ვადაგადაცილებული ფულადი ვალდებულებების სტატუსთან და ასევე ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და გავრცელება ფიზიკური და იურიდიული პირების მიმდინარე და გადახდილი სესხების/ვალდებულებების შესახებ.

7.4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით მსესხებელი აცხადებს თანხმობას და გამსესხებელს ანიჭებს უპირობო უფლებამოსილებას, რომ შპს ონლაინ კრედიტმა ს/კ 400094483 მოითხოვოს, მოიძიოს, დაამუშაოს მისი პერსონალური მონაცემები სს „კრედიტინფო საქართველოს“ ს/კ 20447070 საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზიდან.

7.4.2. წინამდებარე ხელშეკრულებით მსესხებელი აცხადებს თანხმობას, იმის შესახებ, რომ გამსესხებელმა, შპს ონლაინ კრედიტმა ს/კ 400094483 სესხის მოთხოვნიდან ნებისმიერ დროს გადაამოწმოს სს „კრედიტინფო საქართველოს“ ს/კ 20447070 საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში მის შესახებ არსებული ინფორმაცია სხვა ფულად ვალდებულებებთან დაკავშირებით.

7.4.3. მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით სესხის მოთხოვნისას მსესხებლის თანხმობა სს „კრედიტინფო საქართველოს“ ს/კ 20447070 საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში მის შესახებ არსებული მონაცემების მოთხოვნაზე, მოძიებაზე, დამუშავებაზე გამოიხატება მსესხებლის მიერ დამატებითი სიმბოლოს „1“ მოკლეთექსტური შეტყობინების გამოგზავნით.

შენიშვნა: თანხმობა - მონაცემთა სუბიექტის (მსესხებლის) მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა განსაზღვრული მიზნით დამუშავებაზე ზეპირად, სატელეკომუნიკაციო ან სხვა შესაბამისი საშუალებით გამოხატული ნებაყოფლობითი თანხმობა, რომლითაც შესაძლებელია ნათლად დადგინდეს მონაცემთა სუბიექტის ნება (მსესხებლის), რაც ამ შემთხვევაში გამოიხატება მხარეთა შორის არსებული ამ ხელშეკრულების დადებით.

7.5. გადასაცემი ინფორმაცია, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: მსესხებლის საიდენტიფიკაციო და საკონტაქტო მონაცემებს, მიმდინარე სესხის/ვალდებულების მოცულობას, მიზნობრიობას, დარიცხულ საკომისიოს/პროცენტს, მოქმედების ვადას, მსესხებლის მიერ სესხთან/ფინანსურ ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, ხოლო სასამართლო დავის არსებობის შემთხვევაში - სასამართლო სამართალწარმოების და სააღსრულებო წარმოების შედეგებს.

7.6 მსესხებლის მიერ წინამდებარე თანხმობა გაცემულია ზემოაღნიშნული მიზნებით მონაცემების დამუშავებისათვის საჭირო ვადით. მსესხებელი გამსესხებელს ანიჭებს უპირობო უფლებას, ზემოთ ჩამოთვლილი მიზნებისათვის, აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში დაამუშავოს მსესხებლის შესახებ ინფორმაცია მსესხებლის დამატებითი თანხმობის გარეშე.

7.7. მონაცემები შესაძლებელია დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად. ამასთან, პირები, რომლებიც ამუშავებენ ინფორმაციას, უზრუნველყოფენ ინფორმაციის, საერთაშორისოდ აღიარებული უსაფრთხოების სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, დაცულ გარემოში შენახვას და გაცვლას დაცული საკომუნიკაციო არხების მეშვეობით. მონაცემები გამსესხებელთან ინახება მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად კანონმდებლობითა დადგენილი შენახვის ვადების გათვალისწინებით. მონაცემების დამუშავებაზე მსესხებლის მიერ უარის თქმის შემთხვევაში, გამსესხებელი უფლებამოსილია უარი თქვას გამსესხებლის მომსახურებაზე და/ან შეწყვიტოს მასთან გაფორმებული ნებისმიერი სახისა და შინაარსის ხელშეკრულება. მსესხებელი უფლებამოსილია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ნებისმიერ დროს მოსთხოვოს გამსესხებელს ინფორმაცია მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე, მოითხოვოს მონაცემების გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა და განადგურება.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

8.2. გამსესხებელს შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება შემდეგ შემთხვევებში:

ა) მსესხებელი აგვიანებს გადახდას 15 დღეზე მეტ ხანს;

ბ) გამსესხებლისათვის ცნობილი ხდება, რომ მსესხებლის მიმართ მიმდინარეობს

სამართალწარმოება, რომლის შესაბამისად მსესხებელს შესაძლებელია დაეკისროს მატერიალური ხასიათის ვალდებულება, რომლის მოცულობაც აღემატება გაცემული სესხის თანხას, ან მსესხებელი მოხვდა მოვალეთა რეესტრში და მისი ვალი აღემატება სესხის თანხას ან/და მსესხებელი დაპატიმრებულია;

გ) გამსესხებლისათვის ცნობილი ხდება, რომ ხელშეკრულების დადებისას მსესხებელმა მას მიაწოდა არასწორი ინფორმაცია;

დ) მსესხებელი გახდა გადახდისუნარი.

8.3 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მსესხებელი ვალდებულია პირველი მოთხოვნისთანავე გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა გადასახდელი თანხა, დარიცხული საკომისიოს/პროცენტისა და პირგასამტეხლოს, არსებობის შემთხვევაში სხვა ჯარჯების ჩათვლით.

9 . შეტყობინება

9.1 წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება მსესხებელს შესაძლოა გაეზავნოს:

ა) მის მიერ მითითებულ მისამართზე;

ბ) ელექტრონული ფოსტის მისამართზე;

გ) მობილურ ტელეფონზე მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) სახით.

9.2. მსესხებლის მიერ მითითებულ მისამართზე შეტყობინების ჩაბარება შესაძლებელია ყოველდღე, 09:00სთ-დან 20:00 სთ-მდე. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ამ დროს შესაბამის მისამართზე არ იმყოფება არცერთი პირი ან პირი უარს აცხადებს შეტყობინების ჩაბარებაზე.

9.3. შეტყობინების ჩაბარების მიზნებისათვის უფლებამოსილ პირად ითვლება ნებისმიერი პირი მიუხედავად იმისა, წარმოადგენს ის თუ არა უშუალოდ მსესხებელს ან მისი ოჯახის წევრს. ამ პირისთვის შეტყობინების გადაცემა ითვლება მსესხებლისთვის შეტყობინების ჩაბარებად.

9.4. მსესხებელი, ყოველდღე, 09:00 სთ-დან 20:00 სთ-მდე, უზრუნველყოფს ელექტრონული ფოსტითა და მობილური ტელეფონის საშუალებით შეტყობინების მიღების შესაძლებლობას. შესაბამისად, ამ დროის განმავლობაში გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გაგზავნის მომენტიდან.

9.5. 9.1 პუნქტით გათვალისწინებულ საშუალებებს შორის არჩევის უფლება აქვს გამსესხებელს. გამსესხებელი უფლებამოსილია შეტყობინების გაგზავნისათვის გამოიყენოს ერთ-ერთი, რამდენიმე ან ყველა საშუალება. ამასთან, ერთ-ერთი საშუალების გამოყენებით შეტყობინების ჩაბარება საკმარისია შესაბამისი სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის და მსესხებელი არ არის უფლებამოსილი დაეყრდნოს იმ ფაქტს, რომ გამსესხებელმა ჩაბარების მცდელობა არ განახორციელა რამდენჯერმე ან რამდენიმე თუ ყველა საშუალებით.

9.6. მსესხებელი ადასტურებს, რომ თანახმაა გამსესხებელთან ელექტრონული ფორმით სესხის ხელშეკრულების დადების შემდეგ მიიღოს ანგარიშსწორება და მიმოწერა ელექტრონულად, დოკუმენტაციაზე პირდაპირი მექანიკური გზით ხელმოწერის გარეშე. მსესხებელი ინფორმირებულია, რომ გამსესხებლის მიერ წარდგენილი ანგარიში ატარებს საინფორმაციო ხასიათს და მისი მიუღებლობა არ გულისხმობს სესხის თანხის, გადასახდელი საკომისიოს/პროცენტის ან პირგასამტეხლოს გადაუხდელობას.

9.7. თუ იცვლება მსესხებლის მიერ მითითებული ანგარიში ან ხელშეკრულებაში მითითებული ნებისმიერი ინფორმაცია, მათ შორის საკონტაქტო მონაცემები, მსესხებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ გამსესხებელს და მიაწოდოს ყველა შეცვლილი ინფორმაცია. საკონტაქტო მონაცემების ცვლილების შესახებ ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მსესხებლის საკონტაქტო მონაცემებზე გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება მსესხებლის მიერ მიღებულად.

9.8. 9.6 პუნქტით გათვალისწინებული, ასევე სხვა ნებისმიერი შეტყობინება გამსესხებლის მიერ მიღებულად ჩაითვლება, თუ ის შედგენილია წერილობით და ბარდება გამსესხებელს მისამართზე.

9.9. თუ გამსესხებელმა მსესხებელს მის მიერ მითითებულ მისამართზე გაუგზავნა წერილობითი შეტყობინებები ვადაგადაცილების შესახებ ან ხელშეკრულებიდან გამომდინარე სხვა შეკვეთილი წერილები, მას აქვს უფლება მოითხოვოს მსესხებლისგან გაწეული ხარჯების ანაზღაურება, მაგრამ არაუმეტეს 10 ლარისა ერთი წერილისათვის.

9.10. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მსესხებელი აცხადებს თანხმობას მასზე, რომ გამსესხებელმა გადასცეს მსესხებლის პერსონალური ინფორმაცია შპს „საქართველოს ფოსტა“-ს (ს/კ203836233) მე-9 მუხლში აღნიშნული შეტყობინების მიწოდების მიზნებისათვის.

10. უფლებამონაცვლეობა

10.1. გამსესხებელი უფლებამოსილია, მსესხებლის თანხმობის გარეშე, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და მოთხოვნები მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს სხვა პირს.

10.2. მსესხებელი, გამსესხებლის წერილობითი თანხმობის გარეშე, არ არის უფლებამოსილი ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და მოთხოვნები გადასცეს ან ვალდებულებები გადააკისროს სხვა პირს.

10.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა უფლება-მოვალეობა ვრცელდება ორივე მხარის უფლებამონაცვლეებზე.

11. დაგების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით.

11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს სასამართლო, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1 პრიმა ნაწილის საფუძველზე.

11.3. ხელშეკრულების შესრულების ადგილია ქ. თბილისი, სადაც არის გამსესხებლის იურიდიული მისამართი.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორით.

12.2. ფორს-მაჟორი არის მოცემულ შემთხვევაში აუცდენელი და უძლეველი ძალა, რომელიც დგება მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლად და ატარებს წინასწარ გაუთვალისწინებელ ხასიათს, მათ შორის მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, ომი, აგრეთვე სხვა გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

12.3. თუ ერთ-ერთი მხარე ფორს-მაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია გონივრულ ვადაში აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/დადასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12.4. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

13.სხვა პირობები

13.1.თუ მსესხებელი არ ასრულებს თავის მოვალეობებს, გამსესხებელს შეუძლია გადასცეს მესამე პირს სესხის ამოღების, ასევე პირადი მონაცემების გადაშუშავების და ამ მონაცემების საჯარო ბაზაში განთავსების უფლება.

13.2.დაგვიანებული თანხის ამოღების შემთხვევაში ამოღების ხარჯებს ფარავს მსესხებელი, რაზეც მსესხებელი არის თანახმა.

13.3.მსესხებელი უფლებამოსილია, მიმართოს გამსესხებელს და მიიღოს გამსესხებლის ხელმოწერით დადასტურებული ხელშეკრულება.